

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2018

შპს ჯეო როუდი

ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	6
ფულადი სახსრების მოძრაობის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები.....	9
1. ძირითადი საქმიანობა.....	9
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	9
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	9
3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები	9
3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი.....	10
3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	10
3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება	10
3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10
3.7. მოგების გადასახადი.....	10
3.8. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები	11
3.9. ძირითადი საშუალებები	11
3.10. საწესდებო კაპიტალი	11
3.11. დივიდენდები.....	11
3.12. შემოსავალი	11
3.13. ხარჯები	12
4. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები.....	13
6. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი).....	13
7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	14
8. ძირითადი საშუალებები	14
9. რისკების მართვა.....	14
9.1. ლიკვიდურობის რისკი	15
9.2. სავალუტო რისკი.....	15
10. საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....	15
11. ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	15
მართველობითი ანგარიშგება და 2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა	16

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯეო როუდი-ის დამფუძნებლებს

არამოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯეო როუდი -ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ

დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტის პროცესი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ბესიკ თავაძე

შპს „ექსპერტ ჯგუფი“ დირექტორი

5 დეკემბერი 2019

თბილისი, საქართველო



სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წელი ლარი
ამონაგები		49,087,420
რეალიზაციის თვითღირებულება		(48,026,782)
საერთო მოგება		1,060,638
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	4	261
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	5	993,992
სხვა შემოსულობები/(ზარალი) წმინდა	6	244,661
საოპერაციო მოგება		(178,276)
ფინანსური ხარჯი		
ფინანსური ხარჯი წმინდა		
მოგება დაბეგვრამდე		(178,276)
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება		(178,276)
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		
მთლიანი სრული შემოსავალი		(178,276)

ბაკა ალავიძე
დირექტორი

5 დეკემბერი 2019 წელი
თბილისი, საქართველო

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წელი ლარი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8	1,044
საინვესტიციო ქონება		
ბიოლოგიური აქტივი		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		
		1,044
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	7	254
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		617,683
მარაგები		16,186,447
		16,804,384
მთლიანი აქტივები		16,805,428
მთლიანი კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		719,500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(178,276)
გადაფასების რეზერვი		
		541,224
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		
ანარიცხები		
გადავადებული შემოსავალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		16,264,204
საგადასახადო ვალდებულებები		
		16,264,204
მთლიანი ვალდებულებები		16,264,204
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		16,805,428

ბაკა ალავიძე
დირექტორი

5 დეკემბერი 2019 წელი
თბილისი, საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წელი ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახადებამდე		(178,276)
კორექტირება:		
მოგების გადასახადი		
ცვეთა და ამორტიზაცია	4	261
მარაგების კლება/(ზრდა)		(16,186,447)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(617,683)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება		16,264,204
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(717,941)
გადახდილი პროცენტი		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(717,941)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,305)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,305)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		719,500
გაცემული დივიდენდები		
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		719,500
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	7	254
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს		254

ბაკა ალავიძე
დირექტორი

5 დეკემბერი 2019 წელი
თბილისი, საქართველო

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი				
წმინდა მოგება			(178,276)	(178,276)
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			(178,276)	(178,276)
გაცემული დივიდენდი				
2018 წლის 31 დეკემბერი			(178,276)	(178,276)

ბაკა ალავიძე
 დირექტორი

5 დეკემბერი 2019 წელი
 თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ჯეო როუდი (ს/ნ 400181209) („კომპანია“) დაარსდა 2016 წლის 29 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2019 წლის 29 ნოემბრამდე შპს ჯეო როუდის სახელწოდება იყო შპს მანგო 2016

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი იყო ბააკა ალავიძე 100%-იანი წილით. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს თამბაქოს იმპორტი და რეექსპორტი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანი ნაძალადევის რაიონი, სამღერეთის ქ., N 32. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართულ ლარი და აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სების ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766
ლარი/1 ევრო	3.0701

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

3.7. მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.9. ძირითადი საშუალებები

ოფისის აღჭურვილობა მითითებულია საბალანსო ღირებულებით. თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა გაუფასურების რეზერვი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

ოფისის აღჭურვილობის ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთადი ღირებულების განაწილება საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებზე

3.10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

3.11. დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.12. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების

საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.13. ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლო

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

4. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2018
	ლარი
ცვეთა	261
სულ	261

5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

მიწოდების და მომსახურების ხარჯები	2018
	ლარი
სატერმინალო მომსახურება	570,666
სატრანსპორტო მომსახურება	288,467
საბროკერო მომსახურება	120,178
შემოსავლების სამსახურის მომსახურება	8,874
ბანკის საკომისიო	3,695
საკანცელარიო ხარჯი	561
სხვა	1,550
სულ	993,992

6. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) მოიცავდა:

	2018
	ლარი
შემოსავალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(434,292)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	678,953
სულ	244,661

7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავდა:

		2018 ლარი
ფული სალაროში	GEL	230
ფული ბანკში	GEL	16
	USD	7
სულ		254

8. ძირითადი საშუალებები

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები მოიცავდა:

დასახელება	ოფისის აღჭურვილობა
თვლირებულება	
31 დეკემბერი 2017	-
შემოსვლა	1,305
გადაფასება	
გასვლა	
31 დეკემბერი 2018	1,305
ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2017	-
პერიოდის ცვეთა	(261)
გასვლა	
31 დეკემბერი 2018	(261)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2017	-
31 დეკემბერი 2018	1,044

9. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

9.1. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

9.2. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. 2018 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით იმპორტ რეექსპორტის ოპერაციები ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

10. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

11. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს ჯეო როუდი

მმართველობითი ანგარიშგება და 2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ჯეო როუდი 2016 წლის 29 ივლისს დაარსდა (2019 წლის 29 ნოემბრამდე შპს ჯეო როუდის სახელწოდება იყო შპს მანგო 2016). ჩვენს საქმიანობას წარმოადგენს არა სპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა (სხვადასხვა საქონლით ვაჭრობა, ყოველგვარი კონკრეტული სპეციალიზაციის გარეშე) სიგარეტით ვაჭრობა რეექსპორტის რეჟიმით.

ჩვენი პარტნიორები არიან:

Al Matuco Tobacco Co.Fze.

Global Tobac Co. Level Fze.

Ooo Sherbeti.

Too Varta-West Kazakhstan

შპს ჯეო როუდი-ის სათაო ოფისი მდებარეობს საქართველო, თბილისი, გლდანი-ნამალაძევის რაიონი, სამღერეთის ქ., N 32

კომპანიის საქმიანობა სეზონურობით არ ხასიათდება. კომპანიის მიერ ხდება იმპორტირებული პროდუქციის დასაწყობება და რეალიზაციას ვანხორციელებთ რეექსპორტის რეჟიმით საბაჟო ტერმინალიდან.

კომპანიის მიზანია უწყვეტ რეჟიმში აწარმოოს თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და რეალიზაცია. იგი ორიენტირებულია გააფართოვოს პროდუქციის მიწოდების არეალი და ქსელი, შეინარჩუნოს პროდუქციის ხარისხი და მიწოდების დროულობა.

კომპანია უახლოესი მომავლისათვის აპირებს გაყიდვების გაზრდას, რისთვისაც იგეგმება სხვადასხვა მარკეტინგული და სპეციალური ღონისძიებების გატარება.

შპს ჯეო როუდი-ის (ს/ნ 400181209) დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფ/პ ბააკა ალავიძე (პ/ნ 01007000935)

შპს ჯეო როუდი-ის საქმიანობის შესახებ სამომავლო სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება 100% წილის მფლობელი და დირექტორის ბააკა ალავიძის მიერ.

შპს ჯეო როუდი მართველობითი ანგარიშგება და 2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

წარმოგიდგენთ 2018 წლის ფინანსურ კოეფიციენტებს, საიდანაც უფრო მარტივი დასანახია ჩვენი კომპანიის საქმიანობის შედეგები და მომავალი სამუშაო მიმართულებები:

მაჩვენებელი	2018 წელი
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	2.97
მთლიანი აქტივების კოეფიციენტი	2.92
აქტივების კაპიტალთან ფარდობა	31.05
საერთო მოგების ნორმა	0.02
გადასახადამდე მოგების ნორმა	0.00
აქტივების შემოს. კოეფიციენტი (ROA)	2.92
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.03
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.04
ნაღდი ფულის კოეფიციენტი	4.00

შპს ჯეო როუდი-ი დიდწილად იზიარებს იმ რისკებსა და გაურკვევლობების, რაც ჯგუფის წინაშე დგას. ესენია:

ბუნებრივი კატაკლიზმები - შპს ჯეო როუდი-ს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივ მოვლენებსა და მათ სტიქიურ გამოვლინებებს, რომელთა დადგომის ალბათობა დაბალია, შეუძლია შესამჩნევი ზიანის (საშუალო ეფექტის) მიყენება კომპანიის ოპერაციებისათვის: ამ მოვლენებში შესაძლოა მოიაზრებოდეს სხვადასხვა სახის ბუნებრივი მოვლენები: მიწისძვრები, დიდი რაოდენობის ნალექები, წყალდიდობა, ტრანსპორტირების შეფერხება მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, ხანძარი და ტექნოგენური კატასტროფები.

პოლიტიკური არასტაბილურობა - არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყანაში შეუძლია მნიშვნელოვანი (დიდი ეფექტის) უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადად ბიზნესის წარმოებაზე და კერძოდ, კომპანიის საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის იმპორტთან, მის გადაზიდვასთან, მომსახურებასთან და სხვადასხვა სახის ტექნოლოგიურ ციკლებთან, რომელთათვისაც აუცილებელია სტაბილური, წინასწარგანჭვრეტადი და კეთილგანწყობილი გარემო. სავარაუდოდ, დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, მკვეთრი ცვლილებების ალბათობა, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს ქვეყანაში, კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, დაბალია.

შეიარაღებული დაპირისპირება და ომი - ეს მოვლენები განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ბიზნესზე და მათი შედეგები, შესაძლოა შეუქცევადი და კატასტროფული მასშტაბის აღმოჩნდეს. სავარაუდოდ, მასშტაბური შეიარაღებული კონფლიქტის ჩამოყალიბების ალბათობა, დღეს, დაბალია.

კომპანიას ჰყავს რამოდენიმე ძირითადი კონტრაქტორი. მისი ძირითადი საქმიანობა მიმართულია ამავე კონტრაქტორების სპეციფიურ მომსახურებაზე, რაც ნიშნავს, რომ მყიდველის გავლენა კომპანიაზე მატერიალურია.

საგარეო ფაქტორების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე - გამომდინარე იქიდან რომ შპს ჯეო როუდი-ს მომწოდებლების უმრავლესობას უცხოური კომპანიები შეადგენენ, ნეგატიური შინაარსის საგარეო ფაქტორები შესაძლოა უარყოფითად აისახოს მის საქმიანობაზე. კომპანია ნეგატიური საგარეო ფაქტორების დადგომის ალბათობასა და მის გავლენას მთლიანად კომპანიის საქმიანობაზე - აფასებს მცირედ. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად საგარეო ბაზრების არასტაბილურობა ან კრიზისული განვითარება სხვადასხვა სახის რისკებს, ეფექტებსა და შედეგებს წარმოშობს, რომელთა გავლენის წინასწარ განსაზღვრა რთულია.

ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ვარდნა - ეს განსაკუთრებით საყურადღებო საკითხია, იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებული ბიზნესისათვის. შპს ჯეო როუდი ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილების ალბათობას და ამ ცვლილებით დამდგარ შედეგებს აფასებს როგორც „საშუალო“ სიმძიმის და მუდმივად დიდ ყურადღებას უთმობს საკურსო სხვაობებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საიმპორტო და საექსპორტო ოპერაციებისთვის.

ბაკა ალავიძე
დირექტორი

5 დეკემბერი 2019 წელი
თბილისი, საქართველო

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2018

შპს ჯეო როუდი

ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	6
ფულადი სახსრების მოძრაობის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები	9
1. ძირითადი საქმიანობა.....	9
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	9
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	9
3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები	9
3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი.....	10
3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	10
3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება	10
3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10
3.7. მოგების გადასახადი.....	10
3.8. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები	11
3.9. ძირითადი საშუალებები	11
3.10. საწესდებო კაპიტალი	11
3.11. დივიდენდები.....	11
3.12. შემოსავალი	11
3.13. ხარჯები	12
4. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები.....	13
6. საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი).....	13
7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	14
8. ძირითადი საშუალებები	14
9. რისკების მართვა.....	14
9.1. ლიკვიდურობის რისკი	15
9.2. სავალუტო რისკი.....	15
10. საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....	15
11. ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	15
მართველობითი ანგარიშგება და 2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა	16

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯეო როუდი-ის დამფუძნებლებს

არამოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯეო როუდი -ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტის პროცესი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი


ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით. აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.


ბეიკ თავაძე



შპს „ექსპერტ ჯგუფი“ დირექტორი

5 დეკემბერი 2019
თბილისი, საქართველო



შპს ჯგერო როლდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წელი ლარი
ამონაგები		49,087,420
რეალიზაციის თვითღირებულება		(48,026,782)
საერთო მოგება		1,060,638
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	4	261
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	5	993,992
სხვა შემოსულობები/(ზარალი) წმინდა	6	244,661
საოპერაციო მოგება		(178,276)
ფინანსური ხარჯი		
ფინანსური ხარჯი წმინდა		
მოგება დაბეგვრამდე		(178,276)
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება		(178,276)
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		
მთლიანი სრული შემოსავალი		(178,276)


 ბააკა ზღაგინძე
 დირექტორი

5 დეკემბერი 2019 წელი
თბილისი, საქართველო

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წელი ლარი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8	1,044
საინვესტიციო ქონება		
ბიოლოგიური აქტივი		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		
		1,044
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	7	254
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		617,683
მარაგები		16,186,447
		16,804,384
მთლიანი აქტივები		16,805,428
მთლიანი კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		719,500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(178,276)
გადაფასების რეზერვი		
		541,224
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		
ანარიცხები		
გადავადებული შემოსავალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		16,264,204
სავადასახადო ვალდებულებები		
		16,264,204
მთლიანი ვალდებულებები		16,264,204
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		16,805,428

ბაგვა ალბიძე
დირექტორი

5 დეკემბერი 2019 წელი
თბილისი, საქართველო

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წელი ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახადებამდე		(178,276)
კორექტირება:		
მოგების გადასახადი		
ცვეთა და ამორტიზაცია	4	261
მარაგების კლება/(ზრდა)		(16,186,447)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(617,683)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება		16,264,204
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(717,941)
გადახდილი პროცენტი		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(717,941)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,305)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,305)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		719,500
გაცემული დივიდენდები		
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		719,500
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	7	254
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს		254



5 დეკემბერი 2019 წელი
თბილისი, საქართველო

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი				
წმინდა მოგება			(178,276)	(178,276)
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			(178,276)	(178,276)
გაცემული დივიდენდი				
2018 წლის 31 დეკემბერი			(178,276)	(178,276)


 ბაკაკაძე დიმიტრი
 5 დეკემბერი 2019 წელი
 თბილისი, საქართველო

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ჯეო როუდი (ს/ნ 400181209) („კომპანია“) დაარსდა 2016 წლის 29 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2019 წლის 29 ნოემბრამდე შპს ჯეო როუდის სახელწოდება იყო შპს მანგო 2016

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი იყო ბაკა ალავიძე 100%-იანი წილით. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს თამბაქოს იმპორტი და რეექსპორტი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანი ნაძალადევის რაიონი, სამღერეთის ქ., N 32. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართულ ლარი და აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სების ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766
ლარი/1 ევრო	3.0701

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

3.7. მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.8. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.9. ძირითადი საშუალებები

ოფისის აღჭურვილობა მითითებულია საბალანსო ღირებულებით. თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა გაუფასურების რეზერვი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

ოფისის აღჭურვილობის ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთადი ღირებულების განაწილება საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებზე

3.10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

3.11. დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.12. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული
თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.13. ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ
მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული
მომსახურების ან საქონლის სანაცვლო

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

4. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2018 ლარი
ცვეთა	261
სულ	261

5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

მიწოდების და მომსახურების ხარჯები	2018 ლარი
სატერმინალო მომსახურება	570,666
სატრანსპორტო მომსახურება	288,467
საბროკერო მომსახურება	120,178
შემოსავლების სამსახურის მომსახურება	8,874
ბანკის საკომისიო	3,695
საკანცელარიო ხარჯი	561
სხვა	1,550
სულ	993,992

6. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) მოიცავდა:

	2018 ლარი
შემოსავალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(434,292)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	678,953
სულ	244,661

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავდა:

		2018 ლარი
ფული სალაროში	GEL	230
ფული ბანკში	GEL	16
	USD	7
სულ		254

8. ძირითადი საშუალებები

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები მოიცავდა:

დასახელება	ოფისის აღჭურვილობა
თვლირებულება	
31 დეკემბერი 2017	-
შემოსვლა	1,305
გადაფასება	
გასვლა	
31 დეკემბერი 2018	1,305
ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2017	-
პერიოდის ცვეთა	(261)
გასვლა	
31 დეკემბერი 2018	(261)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2017	-
31 დეკემბერი 2018	1,044

9. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

შპს ჯეო როუდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

9.1. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

9.2. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. 2018 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკუროს სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით იმპორტ რეექსპორტის ოპერაციები ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

10. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

11. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს ჯეო როუდი

მმართველობითი ანგარიშგება და 2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს ჯეო როუდი მართველობითი ანგარიშგება და 2018 წლის საქმიანობის
მიმოხილვა

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ჯეო როუდი 2016 წლის 29 ივლისს დაარსდა (2019 წლის 29 ნოემბრამდე შპს ჯეო როუდის სახელწოდება იყო შპს მანგო 2016). ჩვენს საქმიანობას წარმოადგენს არა სპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა (სხვადასხვა საქონლით ვაჭრობა, ყოველგვარი კონკრეტული სპეციალიზაციის გარეშე) სიგარეტით ვაჭრობა რეექსპორტის რეჟიმით.

ჩვენი პარტნიორები არიან:

Al Matuco Tobacco Co.Fze.

Global Tobac Co. Level Fze.

Ooo Sherbeti.

Too Varta-West Kazakhstan

შპს ჯეო როუდი-ის სათაო ოფისი მდებარეობს საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, სამღერეთის ქ., N 32

კომპანიის საქმიანობა სეზონურობით არ ხასიათდება. კომპანიის მიერ ხდება იმპორტირებული პროდუქციის დასაწყობება და რეალიზაციას ვანზორციელებთ რეექსპორტის რეჟიმით საბაჟო ტერმინალიდან.

კომპანიის მიზანია უწყვეტ რეჟიმში აწარმოოს თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და რეალიზაცია. იგი ორიენტირებულია გააფართოვოს პროდუქციის მიწოდების არეალი და ქსელი, შეინარჩუნოს პროდუქციის ხარისხი და მიწოდების დროულობა.

კომპანია უახლოესი მომავლისათვის აპირებს გაყიდვების გაზრდას, რისთვისაც იგეგმება სხვადასხვა მარკეტინგული და სპეციალური ღონისძიებების გატარება.

შპს ჯეო როუდი-ის (ს/ნ 400181209) დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფ/პ ბააკა ალავიძე (პ/ნ 501007000935)

შპს ჯეო როუდი-ის საქმიანობის შესახებ სამომავლო სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება 100% წილის მფლობელი და დირექტორის ბააკა ალავიძის მიერ.

შპს ჯეო როუდი მართველობითი ანგარიშგება და 2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

წარმოგიდგენთ 2018 წლის ფინანსურ კოეფიციენტებს, საიდანაც უფრო მარტივი დასანახია ჩვენი კომპანიის საქმიანობის შედეგები და მომავალი სამუშაო მიმართულებები:

მაჩვენებელი	2018 წელი
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	2.97
მთლიანი აქტივების კოეფიციენტი	2.92
აქტივების კაპიტალთან ფარდობა	31.05
საერთო მოგების ნორმა	0.02
გადასახადამდე მოგების ნორმა	0.00
აქტივების შემოს. კოეფიციენტი (ROA)	2.92
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.03
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.04
ნაღდი ფულის კოეფიციენტი	4.00

შპს ჯეო როუდი-ი დიდწილად იზიარებს იმ რისკებსა და გაურკვევლობებს, რაც ჯგუფის წინაშე დგას. ესენია:

ბუნებრივი კატაკლიზმები - შპს ჯეო როუდი-ს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივი მოვლენებსა და მათ სტიქიურ გამოვლინებებს, რომელთა დადგომის ალბათობა დაბალია, შეუძლია შესამჩნევი ზიანის (საშუალო ეფექტის) მიყენება კომპანიის ოპერაციებისათვის: ამ მოვლენებში შესაძლოა მოიაზრებოდეს სხვადასხვა სახის ბუნებრივი მოვლენები: მიწისძვრები, დიდი რაოდენობის ნალექები, წყალდიდობა, ტრანსპორტირების შეფერხება მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, ხანძარი და ტექნოგენური კატასტროფები.

პოლიტიკური არასტაბილურობა - არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყანაში შეუძლია მნიშვნელოვანი (დიდი ეფექტის) უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადად ბიზნესის წარმოებაზე და კერძოდ, კომპანიის საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის იმპორტთან, მის გადაზიდვასთან, მომსახურებასთან და სხვადასხვა სახის ტექნოლოგიურ ციკლებთან, რომელთათვისაც აუცილებელია სტაბილური, წინასწარგანჭვრეტადი და კეთილგანწყობილი გარემო. სავარაუდოდ, დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, მკვეთრი ცვლილებების ალბათობა, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს ქვეყანაში, კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, დაბალია.

შპს ჯეო როუდი მართველობითი ანგარიშგება და 2018 წლის საქმიანობის
მიმოხილვა

შეიარაღებული დაპირისპირება და ომი - ეს მოვლენები განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ბიზნესზე და მათი შედეგები, შესაძლოა შეუქცევადი და კატასტროფული მასშტაბის აღმოჩნდეს. სავარაუდოდ, მასშტაბური შეიარაღებული კონფლიქტის ჩამოყალიბების ალბათობა, დღეს, დაბალია.

კომპანიას ჰყავს რამოდენიმე ძირითადი კონტრაქტორი. მისი ძირითადი საქმიანობა მიმართულია ამავე კონტრაქტორების სპეციფიურ მომსახურებაზე, რაც ნიშნავს, რომ მყიდველის გავლენა კომპანიაზე მატერიალურია.

საგარეო ფაქტორების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე - გამომდინარე იქიდან რომ შპს ჯეო როუდი-ს მომწოდებლების უმრავლესობას უცხოური კომპანიები შეადგენენ, ნეგატიური შინაარსის საგარეო ფაქტორები შესაძლოა უარყოფითად აისახოს მის საქმიანობაზე. კომპანია ნეგატიური საგარეო ფაქტორების დადგომის ალბათობასა და მის გავლენას მთლიანად კომპანიის საქმიანობაზე - აფასებს მცირედ. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად საგარეო ბაზრების არასტაბილურობა ან კრიზისული განვითარება სხვადასხვა სახის რისკებს, ეფექტებსა და შედეგებს წარმოშობს, რომელთა გავლენის წინასწარ განსაზღვრა რთულია.

ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ვარდნა - ეს განსაკუთრებით საყურადღებო საკითხია, იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებული ბიზნესისათვის. შპს ჯეო როუდი ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილების ალბათობას და ამ ცვლილებით დამდგარ შედეგებს აფასებს როგორც „საშუალო“ სიმძიმის და მუდმივად დიდ ყურადღებას უთმობს საკურსო სხვაობებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საიმპორტო და საექსპორტო ოპერაციებისთვის.



5 დეკემბერი 2019 წელი
თბილისი, საქართველო